X v. the Czech Republic (revision)

X ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ (გადასინჯვა)

საჩივარი N64886/19

გადაწყვეტილება 30.03.2023

(რელევანტური ამონარიდები)

დასაბუთებული გადაწყვეტილება, რომელიც ითვალისწინებს ჰააგის კონვენციის შესაბამისად მომჩივნის შვილის აშშ-ში დაბრუნების ბრძანების აღსრულებას მე-8 მუხლის პროცესუალური მოთხოვნების შესაბამისად და უპირველესად ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით: *დარღვევა არ დადგინდა*

სასამართლოს რეგლამენტის მე- 80 მუხლი

გადაწყვეტილების გადასინჯვის მოთხოვნა

სასამართლოს რეგლამენტის 28-ე მუხლი

საქმეში მონაწილეობის შეუძლებლობა, განრიდება ან გათავისუფლება

საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში ჩართული ახლადარჩეული ეროვნული მოსამართლის სასამართლო პროცესებში მონაწილეობასთან დაკავშირებული გადამწყვეტი გავლენის მქონე ახალი ფაქტი, რომელიც მჭიდრო კავშირშია სასამართლოს თავდაპირველ გადაწყვეტილებაში განხილულ ფაქტებთან: *გადასინჯვის მოთხოვნა დასაშვებია; გადაწყვეტილება მთლიანად გადასინჯულია*

ფაქტები - საქმეში X ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ (*X v. the Czech Republic* N64886/19, 2022 წლის 12 მაისი), სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ კონვენციის მე-8 მუხლი არ დაურღვევია ჩეხეთის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებას, რომლის საფუძველზეც უზრუნველყოფილ იქნა მომჩივნის ქალიშვილის დაბრუნება ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ ჰააგის კონვენციის თანახმად.

2022 წლის 11 აგვისტოს, მომჩივანმა მოითხოვა საქმის დიდი პალატისათვის გადაცემა და დააყენა საკითხი, რომ, *inter alia*, დაირღვა სასამართლოს რეგლამენტის 28-ე მუხლი. მომჩივნის მტკიცებით, კატერინა შიმაჩკოვას, რომელიც 2021 წლის 28 სექტემბერს იქნა არჩეული მოსამართლედ სტრასბურგის სასამართლოში ჩეხეთის რესპუბლიკიდან, არ უნდა მიეღო მონაწილეობა საქმეზე განხილვაში, რადგან წარსულში, როგორც ჩეხეთის

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, ის თავმჯდომარეობდა იმ პალატას, რომელმაც 2020 წლის 7 აპრილს უარყო მომჩივნის საკონსტიტუციო საჩივარი, რომელიც ეხებოდა ბავშვის დაბრუნების გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების საკითხს.

2022 წლის 11 ოქტომბერს, სასამართლოს ყოფილი მეხუთე სექციის პალატამ დაადგინა, რომ მომჩივნის შუამდგომლობა დიდი პალატისათვის საქმის გადაცემის თაობაზე არსებითად უნდა ჩაითვალოს გადასინჯვის მოთხოვნად სასამართლოს რეგლამენტის მე-80 მუხლის ფარგლებში.

ამასობაში, გადასინჯვის მოთხოვნის განხილვის მოლოდინში, მოსამართლე შიმაჩკოვამ განაცხადა თვითაცილება სასამართლოს რეგლამენტის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე. ხოლო სასამართლოს რეგლამენტის 29-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს თავმჯდომარემ დანიშნა *ad hoc* ეროვნული მოსამართლე.

კონვენციის მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევა

36. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ ჩეხეთის სასამართლოებმა დაარღვიეს კონვენციის მე-8 მუხლით დაცული მისი ოჯახური ცხოვრების უფლება, როცა მისი ქალიშვილის ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნების შესახებ მიიღეს გადაწყვეტილება.

37. ასევე, კონვენციის მე-6 მუხლზე დაყრდნობით, მომჩივანმა განაცხადა, რომ მისი საქმე *de facto* განხილულ იქნა მხოლოდ ერთ ინსტანციაში — სააპელაციო დონეზე; რომ მისი მიერ წარდგენილი საჩივრები და მტკიცებულებები არ იქნა სათანადოდ განხილული ან უარყოფილ იქნა; რომ უგულებელყოფილი იქნა ბავშვის მეურვის მოსაზრებები; რომ დაბრუნების ბრძანებისათვის აღსრულების პროცესში არ გადაუხედავთ; და რომ დაბრუნების გადაწყვეტილებაში განსაზღვრული დაცვის გარანტიები არ იქნა დაცული.

38. სასამართლო იმეორებს, წარსულში უკვე დადგენილს, რომ მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის მე-8 მუხლი არ შეიცავს პირდაპირ პროცედურულ მოთხოვნებს, ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც ითვალისწინებს ჩარევას, მიღებულ უნდა იქნეს სამართლიანი პროცესით და სათანადოდ უნდა ითვალისწინებდეს იმ ინტერესებს, რომელთა დაცვასაც მოიცავს აღნიშნული მუხლი (იხ. სხვათა შორის *Kutzner v. Germany*, no. 46544/99, § 56, ECHR 2002-I).

39. მოცემულ შემთხვევაში, როგორც სასამართლო, რომელსაც ენიჭება დისკრეცია განსაზღვროს საქმის სამართლებრივი კვალიფიკაცია, მიიჩნევს, რომ მომჩივნის მიერ წარმოდგენილი ყველა საჩივარი, რამდენადაც ისინი კონვენციით დარეგულირებულ საკითხებს ეხება, უნდა შეფასდეს მის ძირითად საჩივართან ერთად — კონვენციის მე-8

მუხლის საფუძველზე (იხ. *mutatis mutandis*, *Macready v. the Czech Republic*, nos. 4824/06 და 15512/08, § 41, 22 აპრილი 2010)

2. სასამართლოს შეფასება

(ა) ზოგადი პრინციპები

52. ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევისა და სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების თაობაზე კონვენციის მე-8 მუხლთან დაკავშირებით, იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება ბავშვის დაბრუნებას ჰააგის კონვენციის ფარგლებში, შესაბამისი პრინციპები შეჯამებულია საქმეში X ლატვიის წინააღმდეგ ([GC], no.27853/09, §§ 92-108, ECHR 2013).

53. მოცემულ საქმესთან მიმართებით, სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რაც დიდმა პალატამ დაადგინა, კერძოდ, რომ ევროპული კონვენციისა და ჰააგის კონვენციის ჰარმონიული ინტერპრეტაცია შესაძლებელია, თუკი დაცულია შემდეგი ორი პირობა. პირველ რიგში, ფაქტორები, რომლებიც შეიძლება წარმოადგენდეს გამონაკლისს ბავშვის დაუყოვნებლივ დაბრუნებისგან ჰააგის კონვენციის მე-12, მე-13 და მე-20 მუხლების გამოყენებისას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ საკითხს წამოჭრის სამართალწარმოების ერთ-ერთი მხარე, ნამდვილად უნდა იქნას გათვალისწინებული მოთხოვნის მიმღები სასამართლოს მიერ. აღნიშნულმა სასამართლომ უნდა გამოიტანოს სათანადოდ დასაბუთებული გადაწყვეტილება ამ საკითხზე, რაც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საშუალებას მისცემს გადაამოწმოს, მოხდა თუ არა ამ გარემოებების შესაფერისად განხილვა. გარდა ამისა, აღნიშნული გარემოებები უნდა შეფასდეს კონვენციის მე-8 მუხლის გათვალისწინებით. დიდმა პალატამ ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჰააგის კონვენციის პრეამბულის თანახმად, ბავშვი უნდა დაბრუნდეს "ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის სახელმწიფოში", რის გამოც ეროვნული სასამართლოები უნდა დარწმუნდნენ, რომ აღნიშნულ სახელმწიფოში სათანადო გარანტიები არსებობს. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რისკები, უზრუნველყონ ხელშესახები დაცვის მექანიზმები (იხ. §§ 106–108).

(ბ) ზოგადი პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

54. მოცემული საქმის კონკრეტულ გარემოებებში, სასამართლოს არ ევალება იმ სამართალწარმოების გადახედვა, რომელმაც გამოიწვია დაბრუნების ბრძანების მიღება, არამედ ფოკუსირდება შემდგომ აღსრულების პროცესზე, რომელშიც ეროვნული სასამართლოები მივიდნენ დასკვნამდე, რომ აღნიშნული ბრძანების აღსრულება შესაძლებელი იყო.

55. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ მომჩივნის მიერ მუნიციპალურ სასამართლოში აღსრულების პროცესში წამოჭრილი არაერთი საკითხი — ან უკვე იყო, ან შეიძლებოდა წამოჭრილიყო დაბრუნების ეტაპზე, რომელიც დასრულდა საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით (იხ. ზემოთ §14). ეს განსაკუთრებით ეხება მომჩივნის მიერ ჰააგის კონვენციის მე-12 და მე-13 მუხლებით გათვალისწინებული გამონაკლისების გამოყენებაზე წარმოდგენილ არგუმენტებს. მართლაც, გამონაკლის შემთხვევაში, გარემოებათა შეცვლამ დაბრუნების ბრძანებასა და მის აღსრულებას შორის შეიძლება გაამართლოს საქმის ხელახალი შეფასება (იხ. *Sylvester*, ციტირებული ზემოთ, § 63, და *Makhmudova*, ციტირებული ზემოთ, § 68). თუმცა, ის გარემოება, რომ ეროვნული საპროცესო კანონმდებლობა, ჰააგის კონვენციის სპეციფიური კონტექსტის ფარგლებში, არ ითვალისწინებდა მუნიციპალური სასამართლოს პოზიციის გადახედვას აღსრულების პროცესში, თავისთავად არ წარმოშობს საკითხს კონვენციის მე-8 მუხლის შესაბამისად.

56. სასამართლო აღნიშნავს, რომ დაბრუნების პროცესში დადგინდა, რომ მომჩივანი „უკანონოდ“ აკავებდა თავის შვილს ჩეხეთის რესპუბლიკაში ჰააგის კონვენციის მნიშვნელობით (იხ. ზემოთ, § 11). ასევე დადგინდა, რომ ჰააგის კონვენციის მე-12 და მე-13 მუხლებით გათვალისწინებული არც ერთი გამონაკლისი არ იყო გამოყენებადი. ამგვარად, რადგან მომჩივანმა ნებაყოფლობით არ შეასრულა საბოლოო დაბრუნების ბრძანება და მამამ შესაბამისად დაიწყო სასამართლო აღსრულების პროცესი, აღმასრულებელი სასამართლოების მოვალეობა გახდა ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული აღსრულების წარმოების განხორციელება.

57. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ როდესაც ბრნოს რაიონულმა სასამართლომ გასცა ბავშვის ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნების ბრძანება, იგი დაეყრდნო მხარეთა მიერ წარმოდგენილ პოზიციას, რომლის მიხედვითაც მომჩივანი შვილს გაჰყვებოდა; არ არსებობდა რაიმე მტკიცებულება იმისა, რომ ასეთ ვითარებაში დაბრუნება ბავშვს ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ ზიანს მიაყენებდა ან აუტანელი მდგომარეობაში ჩააგდებდა. მომჩივნის საცხოვრებელი პირობებისა და მამის წარსული ქცევის შესახებ წუხილების გათვალისწინებით, სასამართლომ მამას დააკისრა მომჩივნისა და მისი ქალიშვილის შესაფერისი ცალკე საცხოვრებლით უზრუნველყოფა, რითაც შეასრულა ხელშესახები დამცავი ზომების მიღების ვალდებულება. (იხ. *X v. Latvia*, ციტირებული ზემოთ, §§ 93–108).

58. საქმის მასალებიდან არ იკვეთება, რომ აღსრულების შემდგომ პროცესებში მომჩივანს წარედგინა შესაბამისი, ობიექტური მიზეზები საკუთარი ახალი პოზიციის დასასაბუთებლად, რომელიც მხოლოდ დაბრუნების პროცესის დასრულების შემდეგ დააფიქსირა — კერძოდ, რომ მას აღარ სურდა ამერიკის შეერთებულ შტატებში შვილთან ერთად დაბრუნება. იგი საკუთარ პოზიციას ამართლებდა მხოლოდ იმით,

რომ მამამ არ შეასრულა საცხოვრებელთან დაკავშირებული გარანტიის ვალდებულება (იხ. ზემოთ §§ 16 და 46), რაც უარყო რაიონულმა სასამართლომ მას შემდეგ, რაც განიხილა წარდგენილი მტკიცებულებები. სასამართლომ მიიჩნია, რომ საკმარისი იყო ის გარემოება, რომ მამამ წარადგინა საკუთარ სახელზე გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულება — და იმ ვითარებაში, როცა მომჩივანი უარს აცხადებდა დაბრუნებაზე და მამასთან თანამშრომლობაზე, გასაგები იყო, რომ ამ უკანასკნელმა იგი ქირავნობის ხელშეკრულებაში არ შეეყვანა (იხ. §§ 19 და 20). ამ კონტექსტში სასამართლო მიუთითებს, რომ მომჩივანი არამხოლოდ მრავალი წლის განმავლობაში ცხოვრობდა აშშ-ში, არამედ მას აშშ-ის მოქალაქეობაც ჰქონდა მიღებული (იხ. §§5–8). ასევე, როგორც ირკვევა, მას შემდეგ, რაც შვილი გაემგზავრა, მომჩივანი თავადაც დაბრუნდა საცხოვრებლად აშშ-ში და იქაც მოიპოვა საცხოვრებელი(იხ. §28).

59. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო მიანიშნებს თავის გადაწყვეტილებაზე საქმეში Maumousseau და Washington საფრანგეთის წინააღმდეგ (*Maumousseau and Washington v. France* , №39388/05, § 69, 2007 წლის 6 დეკემბერი), სადაც მან დაადგინა, რომ ჰააგის კონვენციის მიზანია იმის პრევენცია, რომ მშობელმა, რომელმაც ბავშვი თვითნებურად წაიყვანა, დროის გასვლით მოახერხოს ამ *de facto* მდგომარეობის სამართლებრივი ლეგიტიმაცია. ხსენებულ საქმეში ეროვნული ორგანოები მიუთითებდნენ, რომ დედას, მიუხედავად მისი მტკიცებისა, შეეძლო შვილის გაჰყოლოდა იმ სახელმწიფოში, სადაც ბავშვს ჰქონდა ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი და იქვე დაეცვა საკუთარი უფლებები. აღნიშნული ფაქტორი სასამართლოსთვის არსებითად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რადგან დედას არ ჰქონდა შეზღუდვა აღნიშნული სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლასთან დაკავშირებით და მას შეეძლო მიემართა იმ სახელმწიფოს კომპეტენტური სასამართლოებისთვის (იხ. §74).

60. სასამართლო ეთანხმება მომჩივანს იმაში, რომ ჰააგის კონვენციით დადგენილი პროცედურების ფარგლებში ბავშვის საუკეთესო ინტერესების კონცეფცია უნდა იყოს უზენაესი. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ კონცეფციის შემადგენელ ელემენტებს შორის ასევე არის ის რომ ბავშვს არ უნდა წაართვან ერთ-ერთი მშობელი და მეორე მშობელმა არ უნდა შეინარჩუნოს იგი მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ ის სამართლიანად ან უსამართლოდ მიიჩნევს, რომ თავისი უფლებები ბავშვის მიმართ ისეთივე ან უფრო მნიშვნელოვანია (იხილეთ, *Eskinazi and Chelouche v. Turkey* (dec.), no. 14600/05, ECHR 2005-XIII).

61. წინამდებარე საქმეში, აღსრულების პროცესში რაიონულმა სასამართლომ საბოლოოდ დაასკვნა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები მოითხოვდა მის დაუყოვნებლივ დაბრუნებას აშშ-ში. სასამართლომ აღნიშნა, რომ რადგან დაბრუნების ბრძანება საბოლოო იყო, არ არსებობდა შესაძლებლობა იმისა, რომ განეხილათ, სწორი

იყო თუ არა ეს გადაწყვეტილება არსებითი თვალსაზრისით, ან გადაეხედათ იმ გარემოებებისათვის, რომლებმაც მისი მიღება გამოიწვია. თუმცა საქმის მასშტაბებისა და სასამართლოს განხილვის სფეროს გათვალისწინებით (იხ. §§42 და 54), შეუძლებელია ითქვას, რომ რაიონულმა სასამართლომ არ გაითვალისწინა ის მოვლენები, რაც ბავშვის დაბრუნების შესახებ ბრძანების შემდეგ მოხდა. მართლაც, 2019 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილებიდან ჩანს, რომ სასამართლომ განიხილა მომჩივნის მიერ წარდგენილი რამდენიმე ახალი სამედიცინო და ფსიქოლოგიური დასკვნა, თუმცა დაასკვნა, რომ ისინი არ ასახავდა არსებით ცვლილებებს ბავშვის მდგომარეობაში იმ პერიოდთან შედარებით, როდესაც საქმე განიხილებოდა დაბრუნების პროცესის ფარგლებში (იხ. §20).

62. სასამართლო საბოლოოდ აღნიშნავს, რომ აღსრულების პროცედურის განხორციელების ფორმა (იხ. ზემოთ § 24) მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო იმით, რომ მომჩივანი სისტემატურად უარს აცხადებდა მამისათვის შვილის ნებაყოფლობით გადაცემაზე, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება ექვს თვეზე მეტ ხანს ძალაში იყო და აღსრულებას ექვემდებარებოდა. ასევე, ეს განპირობებული იყო მისი საქციელით ბავშვის მამის მიმართ. ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლომ 2019 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებაში (იხ. § 27) მიუთითა იმაზე, რომ მომჩივანსა და მის მეუღლეს შორის შეთანხმების მიღწევა ვერ ხერხდებოდა და საჭირო იყო სიტუაციის სტაბილიზაცია.

63. ასეთ ვითარებაში, სასამართლოს მიაჩნია, რომ მომჩივნის მიერ აღსრულების პროცესში წამოჭრილი მოთხოვნების განხილვა ადგილობრივი სასამართლოების მიერ შეესაბამებოდა კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ პროცესუალურ მოთხოვნებს და მისი შვილის დაბრუნების აღსრულებაზე მიღებული გადაწყვეტილება არ არღვევდა აღნიშნულ მუხლს.

64. შესაბამისად, ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას.